

პრესრელიზი

ჰიდროელექტროსადგური „ალაზანი-2“-ის მშენებლობა გრძელდება

„საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“ განაგრძობს 2012 წლის ივნისში დაწყებული ჰიდროელექტროსადგურის „ალაზანი-2“ მშენებლობას. ამ დროისათვის დასრულებულია სალექარი, გამრეცხი გალერეა და წყალმიმღები კვანძი. დასრულების ფაზაშია 1700 მეტრი სიგრძის სადაწნეო მილსადენის მშენებლობა სადაც გამოყენებულია თანამედროვე „GRP“ ტიპის მილები. ასევე მიმდინარეობს ჰესის შენობისა და სამანქანო დარბაზის მშენებლობა.

„ალაზანჰესი-2“-ის მშენებლობა დასრულდება 2013 წლის მარტის ბოლოს და აპრილში შევა ექსპლუატაციაში. „ალაზანჰესი-2“-ის სიმძლავრე იქნება 6 მეგავატი, ხოლო ელექტროენერჯის საშუალო წლიური გამომუშავება 40 მლნ კვტ.სთ

04.01.2013

„საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“ (სსეკ) 2005 წლის ივლისში დაფუძნდა. GIEC -, საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის შვილობილი კომპანიაა. ამჟამად „ჯი-აი-ჯი“ კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია. სსეკ-ის მთავარი სტრატეგიული ბიზნეს ერთეული მოიცავს ელექტროენერჯის გამომუშავებას და ბუნებრივი აირის რეალიზაციას. დღეისათვის სსეკ ამუშავებს 8 მცირე ჰიდროელექტროსადგურს საქართველოში და სტრატეგიული მნიშვნელობის თბოელექტროსადგურს, რომელიც მდებარეობს გარდაბნის რაიონში და უზრუნველყოფს საქართველოს მნიშვნელოვან ენერგორეზერვს. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელია დავით ბეჟუაშვილი.

